განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტურიზმი, ბაკალავრიატი

შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

28-29 აპრილი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 3 ივნისი 2022 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	20002120
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ტურიზმი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 02/12/2011, 386 გავაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ეკა დევიძე, შავი ზღვის საერთაშორისო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ალექსიძე, იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მიზნით შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ,,ტურიზმი“ 2011-2012 სასწავლო წლიდან ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 386; 02.12.2011).

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს 4 აკადემიურ წელს. პროგრამის 240 ECTS კრედიტიდან 130 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებს, საიდანაც პროფესიულ პრაქტიკაზე განსაზღვრულია 15 ECTS კრედიტი, 80 ECTS კრედიტი კი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებზე მოდის. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსებზე 20 ECTS კრედიტია გამოყოფილი, ხოლო თავისუფალი კომპონენტის არჩევით კურსებზე 5 ECTS კრედიტი. თავისუფალი კომპონენტის არჩევით სასწავლო კურსებზე სოციალურ დისციპლინათა მოდულზე - 5 ECTS კრედიტი სავალდებულო ხასიათისაა.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებები შევიდა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით დამტკიცდა რექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის №01-05/045 ბრძანებით. პროგრამაში 2013 წლიდან მიმდინარეობს ცვლილებები. კერძოდ, პროგრამის განვითარებისთვის შეიქმნა პროგრამის და დამსაქმებელთა კომიტეტები, რომელთა ერთობლივი რეკომენდაციით შემუშავდა ,,საერთაშორისო ტურიზმის“ ახალი სასწავლო კურსი; ასევე, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტების ერთობლივი მუშაობით შემუშავდა ახალი სასწავლო კურსები: ,,ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა“, ,,გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში“, ,,ეთნოკულტურა და ტურიზმი“, ,, გასტრონომიული და ღვინის ტურიზმი“, ,,ტურიზმის სტატისტიკა“, ,,საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“, ,,ველნეს ტურიზმი“, ,,ტურიზმის მდგრადი განვითრება“ და ა.შ. პროგრამის მიზნები გადამუშავდა დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სტუდენტების კომიტეტების მონაწილეობით, აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით. დაიხვეწა პროგრამის სტრუქტურა და დიზაინი, განისაზღვრა წინაპირობები და მოხდა სასწავლო კურსების სემესტრული გადანაცვლება; შეიცვალა კრედიტების მოცულობა; დაზუსტდა სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე; დაიხვეწა სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;

შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; განახლდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.
სწავლების ენა არის ქართული. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი. პროგრამაზე ბოლ 5 წლის განავლობაში გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა 85-დან 120-მდე გაიზარდა. გაიზარდა პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობაც 25-დან 54-მდე, თუმცა ვაკანტური ადგილები ყოველ წელს რჩებოდა. მიმდინარე სასწავლო წელს ჩაირიცხა 54 სტუდენტი. პროგრამას ბოლო 5 წლის განმავლობაში ჰყავს ჩარიცხული 197 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, აქედან ბათუმში 95 აქტიური სტუდენტია; სტატუსშეწყვეტილია - 11, სტატუსშეჩერებულია - 32. პროგრამაში ჩართულია 62 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 26 აფილირებულია. ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა 74,2 % დასაქმდა, საიდანაც 62% დასაქმებულია კვალიფიკაციის მიხედვით. 22,6 %-მა გააგრძელა სწავლა მაგისტრატურის საფეხურზე.
აღსანიშნავია, რომ პროგრამის გადამუშავების პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამამ გაიარა გარე ექსპერტიზა.
აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტიდან მიღებული იქნა შესაფასებლად წარმოდგენილი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიცია, საიდნაც ირკვევა, რომ უნივერსიტეტი ნაწილობრივ იზიარებს გამოთქმულ რეკომენდაციებს.
უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიცია განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფში და გადაწყდა, რომ შენარჩუნებული იქნას დასკვნის პროექტის ყველა რეკომენდაცია, რამდანადაც თითოეული არის დასაბუთების საფუძველზე წარმოდგენილი, გარდა ,,ტურიზმის საფუძვლების“ სახელწოდების და ,,ტურიზმის სტატისტიკის“ წინაპირობის განსაზღვრის შესახებ. კერძოდ, დასკვნის პროექტში მითითებული ,,შესავალი ტურიზმში“ სახელწოდება დაკორექტირდა ,,ტურიზმის საფუძვლების“ სახელწოდებით, ხოლო წინაპირობების რეკომენდაციიდან ამოღებული იქნა ,,ტურიზმის სტატისტიკის“ სასწავლო კურსი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 28 – 29 აპრილს. ადგილზე ვიზიტი შედგა 28 აპრილს, ხოლო 29 აპრილს კი - დისტანციური შეხვედრები ჩატარდა ფოკუსჯგუფებთან დღის წესრიგის დაცვით Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.
შეფასებამდე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დაორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა შეკითხვების ჩამონათვალი. უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტებისა და მასალების წარმოდგენის თხოვნა, მათ შორის: სხვადასხვა შეფასების მქონე პრაქტიკის

დღიური/ ანგარიში; მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა; ცენტრალური და ბიზნესის და მართვის სკოლის ბიუჯეტი; ხარისხის სამსახურის ანგარიშებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია; ანალოგ პროგრამებთან დადარების შედეგების ანალიზი; სტუდენტთა მოსწრების ანალიზი (2020-2021); ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის შეფასების ანგარიში; პროგრამის ფარგლებში საერთშორისო მობილობაში ჩართული სტუდენტების და პერსონალის სტატისტიკა. უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე.

შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია.

უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტები გაეცნენ ყველა შესაძლებლობას, რაც პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას უზრუნველყოფს. ვიზიტი წარიმართა საქმიან და კოლეგიალურ გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან: 1.1, 2.1, 2.6, 4.2, 4.3, 4.4 5.1, 5.2, ქვესტანდარტები; მეტწილად შესაბამისობაშია 1.2, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, 3.1, 4.1, 5.3 ქვესტანდარტები.

- **რეკომენდაციები**

1. მიზანშეწონილია, გაიზარდოს პროგრამის გადამუშავების პროცესში პროგრამის განხორციელებაში ბათუმის წარმომადგენლობის ჩართულობა შესაბამისი მექანიზმის ეფექტიანად ამოქმედების გზით;
2. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების გეგმაში აისახოს ასპექტი, სამიზნე ნიშნულიდან გადახრის რა სიდიდე არის დასაშვები და რა შემთხვევაში განხორციელდება პროგრამის ცვლილება;
3. რეკომენდებულია, ეკოლოგიური და სათავგადასავლო ტურიზმის, საერთაშორისო ტურიზმის და ტურიზმის სატრანსპორტო მომსახურების, გასტრონომიული და ღვინის ტურიზმის, ტურიზმის მარკეტინგის, ტუროპერეიტინგის წინაპირობად განესაზღვროს ,,შესავალი ტურიზმში“, ხოლო მასპინძლობის მენეჯმენტის, სასტუმროს მენეჯმენტის, ღონისძიებების ადმინისტრირების, გაყიდვები ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში სასწავლო კურსებს, ,,შესავალი ტურიზმში“ სასწავლო კურსთან ერთად, წინაპირობად განესაზღვროს ,,მენეჯმენტის საფუძვლები“;

სასწავლო კურსებს „სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო“ და „საერთაშორისო ბიზნესის პრინციპები“ წინაპირობებს დაემატოს ინგლისური ენა;

4. რეკომენდებულია, პროგრამაში საფაკულტეტო ან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენილ იქნეს ,,ადამიანური რესურსების მართვის“ სასწავლო კურსი;
5. რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება შემდეგ სასწავლო კურსებთან: ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, მასპინძლობის მენეჯმენტი, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, ტურიზმის სტატისტიკა, ტურიზმის მარკეტინგი, ტუროპერეიტინგი და ტურიზმის სატრანსპორტო მომსახურება, დემოკრატია და მოქალაქეობა, ფსიქოლოგია, ბიზნესის სამართლის საფუძვლები;
6. რეკომენდებულია, შეივსოს „ბიზნესის სამართლის საფუძვლების“ სილაბუსის შინაარსი, უკვე არსებულ საკითხებთან ერთად, ბიზნესის სამართლისთვის სხვა რელევანტური თემატიკით (ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილიდან, სახელშეკრულებო სამართლიდან, შრომის სამართლიდან და სხვა);
7. რეკომენდებულია, პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში/მემორანდუმებში მიეთითოს სტუდენტთა რაოდენობა, ხელშეკრულების/მემორანდუმის გათვალისწინებული პრაქტიკის ხანგრძლივობა, ზოგიერთ შემთხვევაში კი - მიზნობრიობაც;
8. რეკომენდებულია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამასა და რიგ სილაბუსებში („კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“, „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ , „შესავალი ტურიზმში“, „ფინანსური აღრიცხვა I“ სილაბუსებში) სწავლება-სწავლის მეთოდები თავისი შინაარსობრივი დატვირთვით იყოს გამოყენებული და გაიმიჯნოს აქტივობებისგან;
9. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა ბათუმის წარმომადგენლობის პროგრამის სტუდენტებთან ელექტრონულ რესურსულ ბაზებთან დაკავშირებით;
10. რეკომენდებულია ბათუმის წარმომადგენლობაში ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სალექციო და სასემინარო სწავლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით გაიზარდოს დარგის (ტურიზმი) კვალიფიციურ სპეციალისტთა რაოდენობა (ადგილობრივი (ბათუმი) კადრებით უზრუნველყოფა);
11. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგი განსაკუთრებით ბათუმის წარმომადგენლობის დაინტერესებულ პირთა საჭიროებების დადგენის, მიღებული მონაცემების სათანადო ანალიზის, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში ლიტერატურის განახლების, ბათუმის წარმომადგენლობაში აკადემიური პერსონალის მოზიდვის, რამდენიმე საკითხზე (მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე) სტუდენტთა ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდის, მემორანდუმების სათანადო პირობების დაცვით დადებისა და სხვა სასწავლო ნაწილების მიმართულებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია გარე შეფასებაში უცხოელი ექსპერტების ჩართვა;

2. სტუდენტთა საშუალო შეფასების მაჩვენებლის ამაღლების მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გააძლიეროს ტექნიკური/მათემატიკური საგნების სწავლება დამატებითი საკონსულტაციო საათების, ან სტუდენტებისათვის პროგრამის მიღმა უფასო მეცადინეობების შეთავაზების გზით;

3. სასურველია, სასწავლო კურსების არჩევითობის ხარისხის გასაზრდელად შეთავაზებული იქნეს შემდეგი სასწავლო კურსები/საგნები: ტურიზმის პოლიტიკა, რისკის მენეჯმენტი, პროექტის მენეჯმენტი, ბიზნესის კვლევის საფუძვლები და სხვა

4. სასურველია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უნივერსიტეტმა შესთავაზოს ტრენინგები კრედიტების გაანგარიშების წესის გამოყენების, ასევე, პერსონალის დატვირთვის სქემის მოთხოვნებისა და პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმთან დაკავშირებით;
5. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში შესაბამისი მუხლების საფუძველზე უფრო ნათლად აისახოს სამეცნიერო მივლინებების, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, შიდა გრანტების და სხვა მსგავსი ხარჯები;

6. კარგი იქნება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესში, განსაკუთრებით ბათუმის წარმომადგენლობის მხრიდან;

7. სასურველია, პროგრამის ფარგლებში დაინტერესებულ აქტორთა განხორციელებულ გამოკითხვებზე (კმაყოფილების კვლევებზე) რეაგირების ანგარიშები (ოქმები) წარმოებდეს განსაზღვრული პერიოდულობით;

8. სასურველია, ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ფორმებმა უფრო მეტად ასახოს პროგრამების დადარების შინაარსობრივი მხარე, შედარების შედეგები ამა თუ იმ საკითხზე ცვლილებების შეტანისა თუ პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაფასებლად წარმოდგენილი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა 2011-2012 სასწავლო წლიდან ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N386; 02.12.2011). ამ პერიოდიდან პროგრამის მსვლელობისას უამრავი ცვლილება განხორციელდა. შესაფასებლად წარმოდგენილი მოდიფიცირებული პროგრამა დამტკიცდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის №01-05/045 ბრძანებით. პროგრამის მოდიფიცირება დაიწყო 2013 წლიდან. კერძოდ, პროგრამის განვითარებისთვის შეიქმნა პროგრამის, კურსდამთავრებულების, სტუდენტების და დამსაქმებელთა კომიტეტები, რომელთა ერთობლივი რეკომენდაციით შემუშავდა ,,საერთაშორისო ტურიზმის“ ახალი სასწავლო კურსი; ასევე, ,,ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა“, ,,გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში“, ,,ეთნოკულტურა და ტურიზმი“, ,,გასტრონომიული და ღვინის ტურიზმი“, ,,ტურიზმის სტატისტიკა“, ,,საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“, ,,ველნეს ტურიზმი“, ,,ტურიზმის მდგრადი განვითარება“ და ა.შ. პროგრამის მიზნები გადამუშავდა დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სტუდენტების კომიტეტების მონაწილეობით. დაიხვეწა პროგრამის სტრუქტურა და დიზაინი, განისაზღვრა წინაპირობები და მოხდა სასწავლო კურსების სემესტრული გადანაცვლება; შეიცვალა კრედიტების მოცულობა; დაზუსტდა სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე; დაიხვეწა სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები; შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; განახლდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. შეაფასებლად წარმოდგენილი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია: A. მოამზადოს სპეციალისტები ტურიზმის სფეროსთვის, რომლებიც გააცნობიერებენ ტურიზმის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული დარგის მნიშვნელობას, შეძლებენ ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას ბაკალავრისათვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. B. დააუფლოს სტუდენტები ტურისტული ბიზნესის წარმოების თანამედროვე

ტექნოლოგიებს, მისცეს ფართო და თანამედროვე ცოდნა ტურიზმის დარგის, მისი სახეებისა და მართვის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას, ფუძემდებლური პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების გააზრებას სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში. გამოუმუშავოს თანამედროვე პროფესიული კატეგორიებით აზროვნების უნარი, განუვითაროს პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის გამოყენების ჩვევები.

C. გამოუმუშავოს ტურისტული რესურსების გამოყენების, ტურიზმის ბიზნესში მიმდინარე პროცესების გაანალიზების, შეფასების, პრიორიტეტების განსაზღვრისა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარი. განახორციელოს საგანმანათლებლო სტრატეგია არა მხოლოდ ადგილობრივი შრომის ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით, არამედ ჩამოუყალიბოს სტუდენტებს კომპეტენციათა ისეთი სპექტრი, რომლითაც შეძლებენ ცოდნაზე დაფუძნებული საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და უზრუნველყოს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისათვის საჭირო პირობების შექმნა.

D. ჩამოუყალიბოს ზოგადბაზისური კომპეტენციების სისტემა, განუვითაროს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება ტურიზმის ბიზნესის ცვალებად გარემოში საქმიანობისათვის და მოამზადოს შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში ასახულია ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც ექნება კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზნები ემსახურება ტურიზმის ინდუსტრიაში პრაქტიკული საქმიანობის წარმართვის უზრუნველყოფისთვის უმთავრესი ცოდნისა და უნარების შეძენას, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები. ამასთან, პროგრამის დადარება მოხდა უცხოურ და ადგილობრივ ანალოგ პროგრამებთან, გათვალისწინებულ იქნა მათი გამოცდილება და შეფასდა მათთან მსგავსების კომპონენტები.
პროგრამა შეესაბამება ზოგადად უსდ-ის მისიას, რომელიც მიმართულია მაღალი აკადემიური კულტურის დამკვირდებისა და ინტელექტუალური სიმდიდრის შექმნისკენ; მაღალი სამეცნიერო-კვლევით კულტურის დანერგვისა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საუნივერსიტეტო საზოგადოების შექმნისკენ.
აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლას შემუშავებული აქვს 2018-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც გამოკვეთილია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებაზე დაგეგმილი ღონისძიებები. ასევე, 2018-2020 წლების სამწლიანი სამოქმედო გეგმა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ წარმოადგინა ექსპერტთა დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის დოკუმენტი.
ამასთან, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საერთაშორისო აკადემიური საზოგადოების მიერ აღიარებული წესების და სტანდარტების დანერგვისკენ ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელების, ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციეების, სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული

პერსონალის საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფის, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის, საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებში მონაწილეობის და სხვა აქტივობების განხორციელების გზით. ინტერნაციონალიზაციის პროცესებს მართავს საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრი. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი 6 უცხოურ უნივერსიტეტთან. მიმდინარე წელს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის პროგრამებში ჩართულნი იყვნენ 2 სტუდენტი და 2 აკადემიური პერსონალი. ამასთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს უცხოელი პროფესურის მოზიდვაზე.

ამასთან, პროგრამაში ასახულია ინგლისური ენის სწავლების კომპონენტი, რაც პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებით შემოთავაზებული იქნა კურსდამთავრებულებისგან. იგი მოიცავს ბიზნეს ინგლისურის სწავლებას 10 ECTS კრედიტის მოცულობით. ასევე, თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში 10 ECTS კრედიტის მოცულობით ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენის სასწავლო კურსების შეთავაზებას.

თვითშეფასების დოკუმენტს თან ახლავს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა, ასევე, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართების რუკა; პროგრამის შედეგები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დადასტურდა აკრედიტაციის ვიზიტის დროს ინტერვიურების პროცესში.
შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ის მისია;
- ბიზნესისა და მართვის სკოლის სტრატეგია;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- საგანამანათლებლო პროგრამის სტანდარტი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://gruni.edu.ge/ ;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების გეგმა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი, კურსდამთავრებულთა კვლევა;
- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი, კურსდამთავრებულთა კვლევა;
- უნივერსიტეტის 2021 წლის 30 დეკემბრის რექტორის №01-05/045 ბრძანება;
- ანალოგიურ პროგრამებთან დადარების დოკუმენტი;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“ თანხვედრაში, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. იგი შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის დონეს, ასევე დარგობრივ სტანდარტებს. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დაადასტურეს დაინტერესებულმა მხარეებმა: ადმინისტრაციამ, აკადემიურმა პერსონალმა, მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. თუმცა ბათუმის წარმომადგენლობის აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათ მონაწილეობა არ მიუღიათ სილაბუსების შემუშავებაში, რომელ სასწავლო კურსსაც აწვდიან სტუდენტებს და, შესაბამისად, არ აქვთ ინფორმაცია პროგრამაშ ცვლილებების განხორციელების წესის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირებისთვის გაცნობილი იქნა სწავლის შედეგები. პროგრამების გარე შეფასებაში ჩართულნი არიან ქართველი ექსპერტები. 2021 წლის 11 იანვარს ბიზესისა და მართვის სკოლის დეკანის ბრძანებით N12-04/022

შეიქმნა ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი, 20 წევრის მონაწილეობით, რომელშიც შედიოდნენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. თითოეულ მათგანზე გადანაწილდა კონკრეტული ამოცანა. თვითშეფასების დოკუმენტთან თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ თვითშეფასების ჯგუფის თითოეულ სამუშაო შეხვედრაზე მიმდინარეობდა ამოცანების განსაზღვრა, ხოლო ყოველ მომდევნო შეხვედრაზე - დავლების შესრულების ანგარიშის განხილვა.

თვითშეფასების ჯგუფმა დაამუშავა და სისტემაში მოიყვანა თვითშეფასების ანგარიში ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით. შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა, შემუშავდა და განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსები. გამოცხადდა კონკურსი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში პრაქტიკოსი პერსონალის მოწვევის მიზნით, მათ შორის ბათუმის წარმომადგენლობაში. დამატებით გაფორმდა მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან.

პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების წესის მიხედვით განისაზღვრა პროგრამის სამიზნე ნიშნულები.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტიში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების გეგმა. პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა განსაზღვრავს - როდის, რა მეთოდით, პროგრამის რომელი კომპონენტის, რომელ სამიზნე ნიშნულთან მიმართებით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება (სამიზნე ნიშნული განისაზღვრება ბოლო სამი წლის შედეგების საშუალო მაჩვენებლის გათვალისწინებით). პირდაპირ მეთოდებს შორის განსაზღვრულია პირდაპირი ინტერვიუ, სატელეფონო ინტერვიუ და ანკეტირება. თვისებრივი კვლევისას - სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, დოკუმენტების ანალიზი, შემთხვევის ანალიზი, ჩართული დაკვირვება. არაპირდაპირი მეთოდი გამოიყენება დაინტერესებული მხარის (დამსაქმებელი, კურსდამთავრებული, სტუდენტი, პერსონალი) აზრის შესასწავლად პროგრამის განხორციელების, დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების ხარისხის შესახებ; არაპირდაპირი მეთოდები გულისხმობს რაოდენობრივი და თვისებერივი ინსტრუმენტების გამოყენებას დამსაქმებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა თუ პერსონალის გამოსაკითხად სხვადასხვა მიზნებისათვის - დასაქმების ან/და სწავლის გაგრძელების მაჩვენებლის შესასწავლად, პროგრამიდან განთესვისა და გადმოსვლის, ან/და სტუდენტთა მიღების მაჩვენებლების დასადგენად. ამავე მეთოდებს განეკუთვნება პროგრამისა და სტუდენტთა ნაშრომების შეფასება სხვა უნივერსიტეტის პერსონალის მიერ და სხვ.

პროგრამის განხორციელების სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია სამი წლის პერიოდისთვის. კერძოდ, აკადემიური, უცხოელი, მოწვეული პერსონალის და ზოგადად ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კრიტერიუმები; ასევე, აბიტურიენტთა/სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა სამიზნე ნიშნულები და ინტერნაციონალიზაციის კრიტერიუმები. თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების გეგმა არ გვაწვდის ინფორმაციას სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის სიდიდის შესახებ. შედეგების შეფასების ანალიზი, მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება გამოყენებული იქნება პროგრამის გაუმჯობესებისთვის, საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მიზნების/შინაარსის/სწავლის

შედეგების შეფასების სისტემის მოდიფიცირებისთვის.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და ეყრდნობა შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. თუმცა პროგრამის კურსდამთავრებულთა მოსწრება ფრიადის კომპონენტში 0%-ია. აღნიშნული მდგომარეობა ბიზნესის და მართვის სკოლის ადმინისტრაციის მიერ აიხსნა იმ არგუმენტით, რომ სტუდენტების უმრავლესობას უჭირს ტექნიკური საგნების ათვისება და ამ სასწავლო კურსების შეფასებები საერთო ჯამში მოქმედებენ სტუდენტთა საშუალო შეფასებაზე.

პროგრამის შედეგები პასუხობს დარგის სპეციფიკას და ტურიზმის ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესებს, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. ბოლო 5 წელში დასაქმდა კურსდამთავრებულთა 74,2%, კვალიფიკაციის შესაბამისად - 62,9%, ხოლო 22,6% სწავლა გააგრძელა მაგისტრატურის საფეხურზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართების რუქა. ასევე, პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქა. სადაც დაცულია პროგრამის სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა შედეგების გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების საფუძველზე.

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ღებულობენ უკუკავშირს შეფასების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების შედეგების შესახებ. მაგალითად, ინგლისური ენის ელექტრონულად სწავლების ფორმატის შენარჩუნება, პრაქტიკის კომპონენტის გაზრდა, ბიზნეს ინგლისურის დამატება და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და კურიკულუმი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების წესი:
- სწავლის შედეგების შეფასება;
- შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევა;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების კითხვარი.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, გაიზარდოს პროგრამის გადამუშავების პროცესში პროგრამის განხორციელებაში ბათუმის წარმომადგენლობის ჩართულობა შესაბამისი მექანიზმის ეფექტიანად ამოქმედების გზით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების

გეგმაში აისახოს ასპექტი, სამიზნე ნიშნულიდან გადახრის რა სიდიდე არის დასაშვები და რა შემთხვევაში განხორციელდება პროგრამის ცვლილება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სტუდენტთა საშუალო შეფასების მაჩვენებლის ამაღლების მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გააძლიეროს ტექნიკური/მათემატიკური საგნების სწავლება დამატებითი საკონსულტაციო საათების, ან სტუდენტებისათვის პროგრამის მიღმა უფასო მეცადინეობების შეთავაზების გზით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაზუსტდა, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი და გამჭვირვალე წინაპირობები - ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია ბიზნესისა და მართვის სკოლის მიერ, კერძოდ:

გამოცდა	**კოეფიციენტი**	**პრიორიტეტი**
ქართული ენა და ლიტერატურა	3	3
უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული)	4	2
ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:		
მათემატიკა	5	1
გეოგრაფია	5	1
ისტორია	5	1

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ან მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, აღნიშნული პროცედურები საჯარო და ხელმისწავდომია დაწესებულების ვებგვერდზე,

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://gruni.edu.ge/ ; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დაცვით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მოცულობა არის 240 კრედიტი - 8 სემესტრი/4 აკადემიური წელი. აკადემიური წელი მოიცავს 38 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის (19 კვირა) და გაზაფხულის (19 კვირა). ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგ კომპონენტებად: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 130 კრედიტი. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო

კურსები - 80 კრედიტი. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (ინსტრუმენტული მოდული - 20 კრედიტი), თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (კულტურულ-ისტორიულ დისციპლინათა მოდული - სავალდებულოა 5 კრედიტის მოგროვება), თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (სოციალურ დისციპლინათა მოდული - სავალდებულოა 5 კრედიტის მოგროვება) პროგრამის კურიკულუმის სასწავლო კურსები, სემესტრული განაწილების თვალსაზრისით, თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი, თუმცა რამდენიმე სასწავლო კურსთან არ არის მითითებული დაშვების წინაპირობები. კერძოდ: ეკოლოგიური და სათავგადასავლო ტურიზმის, საერთაშორისო ტურიზმის და ტურიზმის სატრანსპორტო მომსახურების, გასტრონომიული და ღვინის ტურიზმის, ტურიზმის მარკეტინგის, ტუროპერეიტინგის სასწავლო კურსებს წინაპირობად უნდა განესაზღვროს ,,შესავალი ტურიზმში", ხოლო მასპინძლობის მენეჯმენტის, სასტუმროს მენეჯმენტის, ღონისძიებების ადმინისტრირებს, გაყიდვები ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში სასწავლო კურსებს, ,,შესავალი ტურიზმში" სასწავლო კურსთან ერთად ერთად, წინაპირობად განესაზღვროს ,,მენეჯმენტის საფუძვლები". სასწავლო კურსების „სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო" და „საერთაშორისო ბიზნესის პრინციპების" სილაბუსეით ირკვევა, რომ სავალდებულო ლიტერატურაში წარმომდგენილია ერთი ინგლისურენოვანი ნაშრომი. შესაბამისად, აღნიშნული სასწავლო კურსების წინაპირობად ინგლისური ენაც უნდა იყოს განსაზღვრული, სხვა მოცემულ წინაპირობებთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალობის არჩევით კურსად შემოთავაზებულია ,,ორგანიზაციული ქცევა", ასევე, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში - ,,ბიზნესის საფუძველები" და ,,მენეჯმენტის საფუძვლები" შესაბამისი თემები ეთმობა ადამიანური რესურსების მართვას, კვალიფიკაციიდან გამომდინარე (იგულისხმება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში), მიზანშეწონილია, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით პროგრამით შეთავაზებულ იქნეს ,,ადამიანური რესურსების მართვის" სასწავლო კურსი, რომელიც ადამიანური რესურსების ძირითადი ფუქნციური რგოლის მართვის საფუძვლებს სისტემურად შეასწავლის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი-სასწავლო გეგმა; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია ეკოლოგიური და სათავგადასავლო ტურიზმის, საერთაშორისო ტურიზმის და ტურიზმის სატრანსპორტო მომსახურების, გასტრონომიული და ღვინის ტურიზმის, ტურიზმის მარკეტინგის, ტუროპერეიტინგის-წინაპირობად

განესაზღვროს ,,შესავალი ტურიზმში“, ხოლო მასპინძლობის მენეჯმენტის, სასტუმროს მენეჯმენტის, ღონისძიებების ადმინისტრირებს, გაყიდვები ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში სასწავლო კურსებს, ,,შესავალი ტურიზმში“ სასწავლო კურსთან ერთად, წინაპირობად განესაზღვროს ,,მენეჯმენტის საფუძვლები“; სასწავლო კურსებს „სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო“ და „საერთაშორისო ბიზნესის პრინციპები“ წინაპირობებს დაემატოს ინგლისური ენა. ○ პროგრამაში საფაკულტეტო ან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენილი იქნას ,,ადამიანური რესურსების მართვის“ სასწავლო კურსი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა - საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია; კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია კურსის სპეციფიკის, შინაარსის და მოცულობის გათვალისწინებით. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების მეტ წილში წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურა ახალია, სასწავლო

მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, თუმცა გარკვეულ სასწავლო კურსებთან, როგორიცაა: ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, მასპინძლობის მენეჯმენტი, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, ტურიზმის სტატისტიკა, ტურიზმის მარკეტინგი, ტუროპერეიტინგი, ტურიზმის სატრანსპორტო მომსახურება - სავალდებულო ლიტერატურის განახლების საჭიროება.

ამასთან, განახლებას მოითხოვს საგნის „დემოკრატია და მოქალაქეობა“ სილაბუსით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, სადაც მხოლოდ 2011 წლის ნაშრომია მითითებული. ანალოგიურად, გასაახლებელია „ფსიქოლოგიის“ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა, სადაც მითითებულია მხოლოდ 2008 წელს გამოცემული ნაშრომი; სასწავლო დისციპლინის „ფილოსოფიური აზროვნების სოციალურ-კულტურული პარადიგმები“ სილაბუსით სავალდებულო ლიტერატურა მოიცავს 2007 და 2008 წლებში გამოცემულ ნაშრომებს.

ამასთან, „ბიზნესის სამართლის საფუძვლების“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერა-ტურაში მხოლოდ 2019 წელს გამოცემული ერთი თეორიული ნაშრომია წარმოდგენილი და მითითებულია 11 კანონი. უმჯობესია, კანონები, რადგან ისინი თეორიულ ლიტერატურად არ მიიჩნევა, „ნორმატიული აქტების“ ქუდქვეშ იყოს ასახული, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით (მაგალითად, ამ საგნის სილაბუსით 5-6 კვირა ეხება მეწარმეობის თავისუფლებას, იურიდიული პირების სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლებს, სამეწარმეო საზოგადოებებს, დამფუძნებელი დოკუმენტებსა და სხვა, ხოლო ამ საკითხების მოწესრიგება 2021 წლის იანვრიდან სრულად შეიცვალა ახალი კანონით „მეწარმეთა შესახებ“).

გარდა ამისა, „ბიზნესის სამართლის საფუძვლების“ სასწავლო კურსის მიზნებიდან ჩანს, რომ აუცილებელია საგნის სილაბუსის შინაარსი შევსება სხვა რელევანტური საკითხებით, რომლებსაც მოიცავს ბიზნესსამართალი. მაგალითად, რამდენიმე ძირითადი საკითხი ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილიდან, სახელშეკრულებო სამართლისა (გავრცელებული ბიზნესკონტრაქტები) და შრომის სამართლის სფეროებიდან.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების (სილაბუსები) შინაარსის განსაზღვრაში და კრედიტების გაანგარიშებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალი ნაკლებად არიან ჩართულნი. აღნიშნული გამოწვევის დასაძლევად საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რაზეც აღინიშნა 1.2 ქვესტანდარტში (ჩართული მხარეების აქტიურობის და მოტივაციის გაზრდა შესაბამისი ქმედითი მექანიზმით).

პროგრამის განხორციელების პროცესში სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებულია ძირითადი სპეციალობის არჩევითი 18 დასახელების 5 ECTS კრედიტიანი სასწავლო კურსი, რომელთაგან უნდა აირჩიოს 80 ECTS კრედიტი. სასწავლო კურსების არჩევითობის ხარისხის გასაზრდელად შესაძლებელია შეთავაზებული იქნას შემდეგი სასწავლო კურსები/საგნები: ტურიზმის პოლიტიკა, რისკის მენეჯმენტი, პროექტის მენეჯმენტი, ბიზნესის კვლევის საფუძვლები და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- კრედიტის გაანგარიშების წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება შემდეგ სასწავლო კურსებთან: ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, მასპინძლობის მენეჯმენტი, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, ტურიზმის სტატისტიკა, ტურიზმის მარკეტინგი, ტუროპერეიტინგი და ტურიზმის სატრანსპორტო მომსახურება, დემოკრატია და მოქალაქეობა, ფსიქოლოგია, ბიზნესის სამართლის საფუძვლები.
- რეკომენდებულია, შეივსოს „ბიზნესის სამართლის საფუძვლების“ სილაბუსის შინაარსი, უკვე არსებულ საკითხებთან ერთად, ბიზნესის სამართლისთვის სხვა რელევანტური თემატიკით (ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილიდან, სახელშეკრულებო სამართლიდან, შრომის სამართლიდან და სხვა).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, სასწავლო კურსების არჩევითობის ხარისხის გასაზრდელად შეთავაზებული იყოს შემდეგი სასწავლო კურსები/საგნები: ტურიზმის პოლიტიკა, რისკის მენეჯმენტი, პროექტის მენეჯმენტი, ბიზნესის კვლევის საფუძვლები და სხვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და

ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში წახალისებულია სხვადასხვა აქტივობები/ღონისძიებები სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ყოველწლიურ კონფერენციებში, ისე საერთაშორისო კონფერენციებში/ფორუმებში, მიზნობრივ შეხვედრებსა და ტრენინგებში (იან კოხანოვსკის უნივერსიტეტი (პოლონეთი), იან დლუგოშის უნივერსიტეტი (პოლონეთი), პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია), ევროკავშირის პროგრამა ერაზმუს + (Erasmus+) და ა.შ. სტუდენტები მობილობაში (ჩართულები არიან ევროკავშირის პროგრამაში ერაზმუს+ (Erasmus+) პროექტში), უნივერსიტეტთაშორის და საერთაშორისო კონფერენციებში/ფორუმებში, მიზნობრივ შეხვედრებსა და ტრენინგებში. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი: ,,პროფესიული პრაქტიკა", რომელიც 15-კრედიტიანია და ითვალისწინებს ტურიზმის სფეროში მიღებული თეორიული ცოდნის გაღრმავებას და მათ კონსოლიდაციას პრაქტიკაში. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ სამიზნე ობიექტის მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურას და ფუნქციონირების სამართლებრივ-ნორმატიულ ბაზას; ფინანსური, ლოჯისტიკური, ადამიანური რესურსების, საწარმოო და მარკეტინგული პროცესების მართვის თავისებურებებს და ა.შ. თუმცა, აღნიშნული ღონისძიებების გარდა სასურველია სტუდენტთა ჩართულობის დონის გაზრდა კვლევით პროექტებში. უნივერსიტეტში წახალისებულია სხვადასხვა აქტივობები/ღონისძიებები სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ როგორც უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ყოველწლიურ კონფერენციებში, ისე პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში. "Teen Academy"-ით ჩარიცხულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ სარგებლობენ 15% შეღავათით სწავლის საფასურზე. კრედიტის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულები პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები (სასტუმროები, ტურისტული სააგენტოები, საქართველოს სასტუმროების და რესტორნების ფედერაცია, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი), რომლებიც ამავდროულად არიან პოტენციური დამსაქმებლები, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ორივე მხარის ინტერესების დაცვით, თუმცა სასურველია, პრაქტიკის პირობით ხელშეკრულებაში აისახოს პრაქტიკანტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ისაუბრეს, თუ რამდენად აქტიურად არიან

ჩართულნი კვლევითი პრობლემების დამუშავებაში, რომლებიც პროფესორთა კვლევების ინტერესს წარმოადგენენ. ასევე ჩართულნი არიან საერთაშორისო კონფერენციებში და პროექტებში. უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ კვლევითი პროექტების განხორციელებაში; სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში, ჯგუფური პროექტების დამუშავება და პრეზენტაციები ხელს უწყობს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას, თუმცა სტუდენტები არ იყვნენ სიღრმისეულად ინფორმირებული უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური ეთიკის მოთხოვნებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესისა და მართვის სკოლის განვითარების სტრატეგია ;
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორებთან;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების კრებულები;
- სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ანგარიში;
- სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო კვლევით პროექტებში;
- სასწავლო პრაქტიკის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gruni.edu.ge/.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში/მემორანდუმებში მიეთითოს სტუდენტთა რაოდენობა, ხელშეკრულების/მემორანდუმის გათვალისწინებული პრაქტიკის ხანგრძლივობა, ზოგიერთ შემთხვევაში კი - მიზნობრიობაც.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა და ჩართულობის წახალისება კვლევით პროექტებში;
- სასურველია, სტუდენტების ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური ეთიკის მოთხოვნებზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და სასწავლო კურსების შინაარსს. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილი მეთოდები და აქტივობები არის მრავალფეროვანი, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, ინტერაქციული ლექცია, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი და ა.შ. პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში, აღნიშნული სტუდენტებმა დაადასტურეს აკრედიტაციის ვიზიტზე გასაუბრებისას.

პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდებს, სასწავლო კურსები კი შეიცავს ისეთ სწავლების მეთოდებს, რომლებიც საგნის სპეციფიკას შეესაბამება.

თუმცა პროგრამაში ამ მიმართულებით ჩანს სწავლების მეთოდების და აქტივობების მკაფიო გამიჯვნის საჭიროება. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამით ლექციის ფარგლებში დასახელებულია ინდუქცია, დედუქცია და დემონსტრირება აქტივობების სახით. თუმცა პროგრამაში ასევე ცალკე სწავლების მეთოდებად გამოყოფილია ინდუქცია და დედუქცია. პროგრამაში განსაზღვრულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, როგორც სასწავლო აქტივობა, ხოლო გონებრივი იერიში გამოყენებულია ჯგუფური მუშაობის ერთ-ერთ აქტივობად.

მსგავსი პრობლემები ჩანს რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში. მაგალითად, „კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური წერის“ სილაბუსში დასახელებულია სწავლების მეთოდად ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ელექტრონული რესურსებით სწავლება, ხოლო სამუშაო ჯგუფში მუშაობა მოიცავს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, წერით, დემონსტრირების მეთოდებს, გონებრივ იერიშს, დედუქციას, ინდუქციას, ანალიზს, სინთეზს, ახსნა-განმარტების მეთოდებს. თუმცა მათი ნაწილი აქტივობებია (მაგალითად, წერითი, დემონსტრირება). მსგავსი მოცემულობაა შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებშიც: „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ , „შესავალი ტურიზმში“, „ფინანსური აღრიცხვა I“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სწავლება-სწავლის მეთოდები; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამასა და რიგ სილაბუსებში („კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“, „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ , „შესავალი ტურიზმში“, „ფინანსური აღრიცხვა I“ სილაბუსებში) სწავლება-სწავლის მეთოდები თავისი შინაარსობრივი დატვირთვით იყოს გამოყენებული და გაიმიჯნოს აქტივობებისგან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი რექტორის მიერ დამტკიცებული სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტით, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. დადგენილია ზოგადი წესი თითოეული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასებისათვის; განსაზღვრულია ერთიანი სისტემური სტრუქტურა შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, ამავე დროს, გათვალისწინებულია დისციპლინის სპეციფიკა.

აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა ნექსუსი საშუალებას აძლევს სტუდენტს, წინასწარ გაეცნოს სილაბუსს, მიიღოს ინფორმაცია შეფასების კომპონენტების/მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ, ამავე დროს, პირველ მეცადინეობაზე ლექტორი მიმოიხილავს სილაბუსს და განმარტავს სწავლება-სწავლისა და შეფასების ცალკეულ მეთოდს. შეფასების სისტემა ორ ფორმად იყოფა - შუალედური და დასკვნითი შეფასება. მათი შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/შემაჯამებელი შეფასება, რომლის მინიმალური ზღვარია 51% - მაქსიმალური კი 100%. საბოლოო გამოცდაზე სტუდენტის დაშვება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მისი შუალედური შეფასებების ჯამი 20%-ზე მეტია.

სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ფლობენ ინფორმაციას, თუ სტუდენტი თვლის, რომ მისი ცოდნა ამა თუ იმ დისციპლინის ფარგლებში ობიექტურად არ შეფასდა, ან მიაჩნია, რომ არსებობს ობიექტური ფაქტორი, რომელმაც განაპირობა უარყოფითი შეფასება, მას შეუძლია, დადგენილ ვადაში, დასაბუთებული განცხადებით მიმართოს დეკანს. საჩივარს განიხილავს დეკანის მიერ შექმნილი დროებითი კომისია, რომელიც ითვალისწინებს შემფასებლის აკადემიური თავისუფლებისა და შეფასების თავისუფალი სივრცის უზრუნველყოფის პრინციპებს. კომისია გადაწყვეტილებას იღებს განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ხმათა უბრალო უმრავლესობით. დაუშვებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გააუარესებს სტუდენტის შეფასებას. სტუდენტების თქმით, არ უსარგებლიათ გასაჩივრებით და ასეთი მაგალითი არც ახსენდებოდათ, რადგან სამართლიანად იწერება ქულები ლექტორების მხრიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- შეფასების მეთოდების აღწერა;
- სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი;
- შეფასების გასაჩივრების მექანიზმი;
- ელ. პორტალი: http://nexus.gruni.ge/student/usertable.php.;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საკონსულტაციო მომსახურებისა და, ზოგადად, სტუდენტთა საინფორმაციო მხარდაჭერისათვის, უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია სტუდენტური სერვისის ინსტიტუციური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც სასწავლო პროცესის მართვისა და თვითკონტროლის მექანიზმის მოქმედებას, ისე კარიერული და პროფესიული განვითარებისათვის მხარდაჭერას. კერძოდ: ყველა სასწავლო კურსის

მიხედვით დაგეგმილია კონსულტაციები კურსის წამყვანი ლექტორების მონაწილეობით; ყოველწლიურად ტარდება მცირე სემინარები საბიბლიოთეკო რესურსის, მათ შორის, ელექტრონული ბაზების გამოყენების საკითხებზე, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიური და სამეცნიერო აქტივობის ეფექტიანობის გაძლიერებას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას, Nexus-ის გვერდზე თვალნათლივ ჩანს ელექტორნული ბაზების გამოყენებისა და ყველა ის ინსტრუქცია, რაც შეიძლება სტუდენტს დასჭირდეს Online სწავლების პროცესში. ასევე, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, რის შესახებაც ისინი ინფორმირებულნი არიან ვებგვერდისა და დეკანატის მიერ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, აგრეთვე სოციალური ქსელის საშუალებით. ტურიზმის პროგრამა სტუდენტებს აძლევს გასვლით შეხვედრებში მონაწილეობის შესაძლებლობას როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ (მაგალითად, აზერბაიჯანი - ბაქო, თურქეთი - კაპადოკია, ავსტრია - კრემსი, ზალცბურგი), სადაც პროფესიული უნარების გასავითარებლად სხვადასხვა დანიშნულებით - ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა, ტრენინგები, ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა - ხდება სტუდენტების აქტიური მონაწილეობით. ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას ელექტორნულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომასთან დაკავშირებით. ამდენად, უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს სტუდენტებთან ამ მიმართულებით მუშაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პერსონალის დატვირთვის სქემა; ○ მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან; ○ სტუდენტური ინიციატივები, პროექტები; ○ სტუდენტური მხარდაჭერისა და სერვისის სამსახურის დებულება; ○ ბიზნესის და მართვის სკოლის დებულება.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა ბათუმის წარმომადგენ-ლობის პროგრამის სტუდენტებთან ელექტრონულ რესურსულ ბაზებთან დაკავშირებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზ
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, მასზე თანდართულ დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესწავლილ იქნა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მონაცემები და გამოცდილება. ძირითადი პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 29 აკადემიური თანამდებობის პირი (მათ შორის აფილირებული - 26), აქედან 8 - სრული პროფესორი (მათ შორის აფილირებული 7), 16 - ასოცირებული (მათ შორის აფილირებული - 14), 1 - ასისტენტ-პროფესორი (აფილირებული), 4-ასისტენტი (აფილირებული-4). მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 33-ს, დამხმარე პერსონალისა - 84-ს, ადმინისტრაციული პერსონალის კი - 15-ს. მათი კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ განსახორციელებელ ფუნქციებს. სხვა სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება ადამიანური რესურსი უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამებიდან. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროფესიულ პრაქტიკაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. მას აქვს როგორც დარგობრივი ცოდნა და გამოცდილება, ისე აკადემიური და პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართულობის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის თბილისის წარმომადგენლობაში ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას

ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები - დარგის სპეციალისტები (ტურიზმი), რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

თუმცა, აკრედიტაციის ვიზიტის დროს ბათუმის წარმომადგენლობის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე, კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის (ტურიზმის მიმართულებით) სასწავლო კურსებს ახორციელებს როგორც ადგილობრივი პერსონალი, ასევე თბილიდან წარმომადგენლები - კვირეული მივლინებების ფონზე. ბათუმში, არსებული გამოწვევის დაძლევა შესაძლებელია დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ადამიანური რესურსის მოძიებით.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ლექტორებს სჭირდებათ გაძლიერება კრედიტების გაანგარიშების წესის გამოყენების, ასევე, პერსონალის დატვირთვის სქემის მოთხოვნების და პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ბათუმის წარმომადგენლობაში ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სალექციო და სასემინარო სწავლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით გაიზარდოს დარგის (ტურიზმი) კვალიფიციურ სპეციალისტთა რაოდენობა (ადგილობრივი (ბათუმი) კადრებით უზრუნველყოფა)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უნივერსიტეტმა შესთავაზოს ტრენინგები კრედიტების გაანგარიშების წესის გამოყენების, ასევე, პერსონალის დატვირთვის სქემის მოთხოვნების და პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმთან დაკავშირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში რეგულარულად ხორციელდება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა გამოკითხვა და პერსონალის შეფასება. აკადმიური, სამეცნიერო, და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს მათ სასწავლო და კვლევით საქმიანობას.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების ინდიკატორები, თვითშეფასების ფორმები. ყოველწლიურად გამოითვლება აკადემიური პერსონალის უკუგებითი მაჩვენებელი ქულის სახით. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას. ასევე, ხორციელდება სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი. გაანალიზებული მასალების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განვითარებისთვის.

უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისთვის ადმინისტრაცია ორგანიზაციული და მატერიალურ-ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებით ახდენს პერსონალის წახალისებას და საქმიანობის ხელშეწყობას. ფინანსდება მათი მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში, ნაშრომების გამოქვეყნება საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში, სახელმძღვანელოების გამოცემა და სხვა. უნივერსიტეტის პროფესურა ჩართულია Erasmus+ პროგრამის ფარგლებში უცხოეთის უნივერსიტეტებთან აკადემიურ მობილობაში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი სხვადასხვა აკადემიური და კვლევითი აქტივობების მიზნით იმყოფებოდნენ ავსტრიაში, აზერბაიჯანში, იტალიაში, თურქეთში, პორტუგალიაში, პოლონეთში, ლიტვაში და ა.შ. ასევე, აქტიურად მონაწილეობენ შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებულ

ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებში. აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტი სისტემატურად უზრუნველყოფს მათთვის პროფესიული განვითარების ამაღლებისთვის ტრენინგების შეთავაზებას, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების, სილაბუსის შედგენის, სწავლა- სწავლების მეთოდების, უცხო ენის გაძლიერების და ა.შ. მიმართულებით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარების გეგმა-გრაფიკი 2021-2022 სასწავლო წლისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ პერსონალის მართვის პოლიტიკა; ○ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის სტანდარტი; ○ პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ○ აკადემიური პერსონალის მიღწევები; ○ პროგრამის სასწავლო პროცესისა და გარემოს კმაყოფილების კვლევა; ○ პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები; ○ სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესი; ○ ტრენინგების გრაფიკი; ○ უნივერსიტეტის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, კერძოდ, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აკადემიური აქტივობები მიმდინარეობს, ტექნოლოგიურად აღჭურვილი ინფრასტრუქტურის პირობებში, სწავლების პროცესში გამოიყენება IT ტექნოლოგიები, სწავლების ელექტრონული მასალები, სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან 38 ელექტრონული პორტალის Nexus მომსახურებით, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიური პროცესის ინფორმაციულ მართვას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების რესურსები გამოიყენება არა მარტო საკონტაქტო საათების ფორმატით, არამედ, დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისათვის, ვინაიდან სტუდენტებს, აქვთ აღნიშნული რესურსებით შეუზღუდავად სარგებლობის უფლება. პერმანენტულად ხდება ბიბლიოთეკის სასწავლო რესურსის განახლება, რომელზეც ყველა სტუდენტს აქვს წვდომა და ეს დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა. ყოველი ახალი წიგნისა თუ ელექტრონული მასალის შეძენის შესახებ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ბიბლიოთეკის ვებგვერდისა და აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის „ნექსუსის“ მეშვეობით. სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა წიგნი განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ამავე დროს, საბიბლიოთეკო სერვისი უზრუნველყოფს მონაცემთა საერთაშორისო ბაზებთან და ეროვნული ბიბლიოთეკიდან იმ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას, რომელსაც სტუდენტი მოითხოვს. უნივერსიტეტის მატერიალური რესურსი, მათ შორის, კომპიუტერები და ინტერნეტი, ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის. კერძოდ: ფუნქციონირებს 24-საათიანი ინტერნეტ მომსახურება; სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში იმუშაონ დამოუკიდებელად დღის ნებისმიერ დროს. ასევე ბიბლიოთეკაში სტუდენტს შეუძლია იზოლირებული სივრცით ისარგებლოს და გამოიყენოს შესაბამისი ინვენტარი, ტექნიკა, მათ შორის, კომპიუტერული ტექნიკა. პროფესორის ოფისში აკადემიურ პერსონალს საშუალება აქვს, დროის ნებისმიერ მონაკვეთში ისარგებლოს ინტერნეტით, მოამზადოს სასწავლო მასალა და სხვა. სტუდენტებთან განახორციელოს კომუნიკაცია ელექტრონული პორტალის მეშვეობით. უნივერსიტეტში ელექტრონულად აღირიცხება სტუდენტების დასწრება ლექციაზე აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა „ნექსუსის“ მეშვეობით, პროფესორს შესაძლებლობა აქვს, სასწავლო წლის განმავლობაში, განათავსოს თავის გვერდზე სასწავლო მასალა, წარმართოს კონსულტაციები, დისკუსიები სხვადასხვა თემაზე, მოახდინოს თემების ტექსტური და გრაფიკული აღწერა. აგრეთვე, სადისკუსიო თემა გაწეროს ამ დისციპლინაზე დარეგისტრირებულ როგორც ყველა, ისე კონკრეტული სტუდენტისთვის ან სტუდენტთა ცალკეული ჯგუფისთვის (შერჩევით). სადისკუსიო თემას აქვს ინტერნეტ ფორუმის სახე. უნივერსიტეტის ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე, აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
- მემორანდუმები ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ინსტრუქციები;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის და ტექნიკური აღჭურვილობის ფაქტობრივი
- მდგომარეობა და შესაბამისი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრულია 2022-2023 წლების ფარგლებში. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის ამსახველი დოკუმენტიდან (ბიუჯეტი) ჩანს, რომ ფინანსური რესურსის ერთ-ერთი უმთავრეს წყაროს წარმოადგენს სტუდენტთა სწავლის საზღაური, ასევე, სხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობით მიღებული შემოსავალი.
ამასთან, როგორც დოკუმენტაციიდან ჩანს, უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა, მოიზიდოს დამატებითი სახსრები კანონით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, აჭარის მთავრობიდან და სხვა.
რაც შეეხება ბიუჯეტის დოკუმენტის მეორე ნაწილს, ის ე.წ. „ხარჯების“ სტატუსითაა წარმოდგენილი. ხარჯების კომპონენტში გაერთიანებულია შემდეგი კომპონენტები:

- *შრომის ანაზღაურება;*
- *სასწავლო პრაქტიკა;*
- *პროგრამის უზრუნველსაყოფად საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება;*
- *სასწავლო-ტექნიკური ბაზის განვითარება;*
- *საკანცელარიო, კომპიუტერული და ასლგადამღები ტექნიკის სახარჯი მასალით უზრუნველყოფა;*
- *სტუდენტთა სოციალური მომსახურების მხარდაჭერის ღონისძიებები (სტიპენდიები, წახალისების ზომები);*
- *სპორტული, კულტურული, ტურისტული და გასართობი ღონისძიებები;*
- *უნივერსიტეტის განვითარებისა და სარეზერვო ფონდი;*
- *სხვა დანარჩენი.*

მართალია, პროგრამის ბიუჯეტში კონკრეტული მუხლების სახით არ არის წარმოდგენილი ისეთი ხარჯები, როგორიცაა: პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, შიდა გრანტების, მივლინებების, პროფესიული განვითარების, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ხარჯები, მაგრამ ეს ნაწილი პროგრამის ბიუჯეტის სხვა კომპონენტებითაა უზრუნველყოფილი. ამასთან, ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს ხარჯებს „სხვა დანარჩენის“ სტატუსით, რომელიც სოლიდური თანხებითაა განსაზღვრული, შესაბამისად, „სხვა დანარჩენი“ ხარჯების გამოყენება შეიძლება ზემოთ დასახელებული აქტივობების განსახორციელებლად. ამასთან, პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს თანხებს ე.წ. „სარეზერვო ფონდისთვის**“,** რომელიც საჭიროებისამებრ მიემართება ამა თუ იმ მიზეზით განპირობებული ფინანსური დეფიციტის მდგომარეობის პრევენციისთვის. აქვე ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ თუ, ამ ხარჯების გარდა, აუცილებელი გახდა სხვა ხარჯების მოზიდვა, საჭიროების შემთხვევაში არსებობს როგორც სკოლის, ისე უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების მზაობა. ასევე, უნივერსიტეტში მოქმედებს მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების ფონდი, რომელიც კვლევების ფინანსურ მხარდაჭერაზეა პასუხისმგებელი. მისი კოლეგიური ორგანო არის კომიტეტი, რომელიც განიხილავს აკადემიური/სამეცნიერო

პერსონალისა და სტუდენტთა საინიაციტივო პროექტებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას დაფინანსების თუ დაფინანსებაზე უარის თქმის თაობაზე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამა ფინანსური თვალსაზრისით მდგრადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ სკოლის ბიუჯეტი; ○ კვლევების ფინანსური მხარდაჭერის საფუძვლები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში შესაბამისი მუხლების საფუძველზე უფრო ნათლად აისახოს სამეცნიერო მივლინებების, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, შიდა გრანტების და სხვა მსგავსი ხარჯები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლი. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ჩართულია როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ისე სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახური, სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრი, საფინანსო სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ბიბლიოთეკა და სხვა სტრუქტურული ერთეულები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყენებს როგორც ადამიანურ, ისე საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს იმისათვის, რომ ეფექტურად განახორციელოს შიდა მექანიზმები. ამ პროცესში გამოიყენება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა „ნექსუსი“, რომლის დახმარებითაც სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა სტატისტიკური მონაცემები გროვდება, პროგრამის შესახებ საჭიროებები მიიღება. ამასთან, ელექტრონული პროგრამა გამოიყენება ლექტორებთან კუმინიკაციისთვის.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას. მათგან ერთ-ერთია საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტიზა, განხორციელების მონიტორინგი და შეფასება როგორც მატერიალურ ტექნიკური ბაზის, ისე ადამიანური რესურსების უზრუნველყოფის მიხედვით. არანაკლებ საყურადღებოა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება პერსონალის საქმიანობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობაა, ჩაატაროს პერსონალის ტრენინგები დარგის სპეციალისტების მონაწილეობით სხვადასხვა პერიოდულობით (5 წლამდე პედაგოგიური სტაჟის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის 3 წელიწადში ერთხელ, 10 წლამდე პედაგოგიური სტაჟის მქონე პერსონალისთვის 4 წელიწადში ერთხელ და სხვ.). ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა სტუდენტთა მხარდაჭერის ანალიზი და შეფასება, ორგანიზაციულ-მეთოდური მუშაობა.

ამავე დროს, საყურადღებოა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იკვლევს

კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებლებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს ხარისხის მართვის რეგლამენტის მიხედვით. ყოველწლიურად დგება სამოქმედო გეგმა, რომელშიც შედის პროცესისა და რესურსების შეფასება-განვითარებისთვის აუცილებელ ღონისძიებათა წრე. ამასთან, ყოველი წლის დასაწყისში აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ევალება სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების გეგმის, ხოლო ყოველი სემესტრის დასაწყისში სასწავლო-მეთოდური მუშაობის ინდივიდუალური გეგმის წარმოდგენა. როცა სასწავლო წელი დასრულდება, პერსონალი წარადგენს ამ გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშს, რომელსაც აანალიზებენ აკადემიური სკოლები და შედეგებს მიაწვდიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. საბოლოო ჯამში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს პერსონალის საქმიანობასა და აქტივობებს, ხოლო მიღებული შედეგების თაობაზე ინფორმაციას აწვდის შესაბამის აკადემიურ პერსონალს. როცა პერსონალი მიიღებს აუცილებელ ინფორმაციას შედეგებისა თუ შეფასებების შესახებ, აანალიზებს არსებულ მონაცემებს და ატარებს შესაბამის ღონისძიებებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. ამასთან, საჭიროებისამებრ შემუშავდება რეკომენდაციები და მათ საფუძველზე შესაძლოა, შევიდეს გარკვეული ცვლილებები პროგრამაში. ამ კუთხით საყურადღებოა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო პროცესისა და გარემოს კმაყოფილების კვლევის შედეგები. სახელდობრ, გამოკითხულ სტუდენტთა 81% აღნიშნავს, რომ პრაქტიკული კომპონენტი საჭიროებს გაზრდას. ასევე, გამოიკვეთა, რომ ბათუმის წარმომადგენლობაში გასაძლიერებელია პროფესიონალი კადრების მოზიდვის საკითხი (დეტალურად იხ. 4.1 კომპონენტი). მართალია, კმაყოფილების კვლევების ბოლოს არის მოკლე დასკვნები და წარმოდგენილია 2019-2020 წლების ანგარიშები, თუმცა მნიშვნელოვანია ნებისმიერი გამოკითხვის შემდეგ 2020-2021 წლებში რეაგირების ანგარიშების (ოქმების) წარმოება, გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებს, შეფასების ფორმებს, სწავლება-სწავლის ხარისხის შეფასების ფორმებს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმებს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ნიმუშებს და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის ფარგლებში შემუშავებულია პროგრამის შედგენის პრინციპები, მართვის სისტემა და დადგენილია მისი უზრუნველყოფის რესურსის მინიმალური სტანდარტი. ამ კუთხით საყურადღებოა, რომ პროგრამის დამტკიცებამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოყოფს ექსპერტებს, რომლებიც სპეციალური ცოდნის გამოყენებით შეისწავლიან პროგრამის საფუძვლებს როგორც ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს, ისე უნივერსიტეტში დადგენილი სტანდარტების მიხედვით.

ამასთან, ცალკე მოწმდება პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთმიმართება, სწავლებისა და ცოდნის შეფასების ეფექტიანობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობა, სასწავლო რესურსებით პროგრამის უზრუნველყოფა და სხვა. საჭიროებისამებრ შესაძლოა, გაიცეს რეკომენდაციებიც ამ მიმართულებით შემდგომი განვითარებისთვის.

უნივერსიტეტში შემუშავებული წესის მიხედვით, პროგრამის ხარისხის შესაფასებლად სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელები გარკვეულ ანგარიშს ადგენენ პროგრამის განხორციელების როგორც დადებითი, ისე გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. შემოწმების პროცესში შესაძლოა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შერჩევითად განსაზღვროს შესამოწმებელი პროგრამა, რომლის შეფასების ინდიკატორებად

განიხილება სტუდენტთა აკადემიური მაჩვენებლები, მათი გამოკითხვების შედეგები, სასწავლო თემატიკის სრულად განხორციელება, პროგრამის შედეგების მიღწევა შესაბამისი სწავლების მეთოდებით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და სხვა. სასწავლო კურსის შეფასების მაჩვენებლები ანალიზდება, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, მიღებულმა შედეგებმა შეიძლება განაპირობოს აკადემიური კომიტეტის მხრიდან შესატყვისი რეკომენდაციების გაცემა. მართალია, პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და აკადემიური პერსონალი, ძირითადად, სხვადა-სხვა გზით აწვდიან მათი საჭიროებების შესახებ უნივერსიტეტს ხმას, მაგრამ ინტერ-ვიუებიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვანია პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესში მათი, განსაკუთრებით ბათუმის წარმომადგენლობის მონაწილეობის ხარისხის გაზრდა.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მისასალმებელია უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნ-ველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების არსებობა. რექტორის ბრძანებით იქმნება ექსპერტთა კომისია, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ისე გარეშე პირები, მათ შორის უცხოელი ექსპერტები. კომისია ადგენს დასკვნას რექტორის ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. კომისიის დასკვნა განიხილება აკადემიური კომიტეტის მიერ, რომელიც კვლევის შედეგების დინამიკაში პროგრესის არსებობისას იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა ფასდება საკმარისად, ხოლო რეგრესის დაფიქსირებისას ამ მექანიზმების ეფექტიანობა შეფასდება არასაკმარისად. ამასთან, დადგენილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის ობიექტური შეფასებისთვის დადგენილი პერიოდი განისაზღვრა ორი აკადემიური წლით. ეს პერიოდი სამსახურს აძლევს შესაძლებლობას, შეადაროს პროცესები და გააანალიზოს შედეგები შემდგომი განვითარებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ასეთი მქანიზმი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია პრინციპის „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“-ს, კერძოდ, უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შემოწმების მიზანია, გასწორდეს ან აღმოიფხვრას ის მიზეზები, რომლებიც შეიძლება აბრკოლებდეს სამსახურის სათანადო მუშაობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის მართვის რეგლამენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიში;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ხარისხის შეფასების ანგარიში;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო პროცესისა და გარემოს კმაყოფილების კვლევის შედეგები.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, პროგრამის ფარგლებში დაინტერესებულ აქტორთა განხორციელებულ გამოკითხვებზე (კმაყოფილების კვლევებზე) რეაგირების ანგარიშები (ოქმები) წარმოებდეს განსაზღვრული პერიოდულობით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა დადებითად შეაფასა სამმა გარე დამოუკიდებელმა ექსპერტმა. მათი მხრიდან გამოითქვა შემდეგი სახის რჩევები:

- კარგი იქნება, პროგრამაში შეთავაზებულ იქნეს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებიც, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის ზრდას;
- სასურველია მოხდეს ტურიზმის სფეროში არსებული მეტი თანამედროვე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების ინტენსიურად თარგმნა.

პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა გააანალიზა ამ რეკომენდაციების მნიშვნელობა და გამოიყენა ისინი პროგრამის განვითარებისთვის. მაგალითად, ცალკეულ სასწავლო კურსებში გაიზარდა თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის რაოდენობა.
ამავე დროს, უნივერსიტეტი ითვალისწინებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს, რომლებიც პროგრამაში გარკვეული ცვლილებების შეტანისა და პროგრამის განვითარების

საფუძველია. 2011 წელს უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცის, რომლის ფარგლებშიც გამოითქვა რეკომენდაციები პროგრამის მიზნების ფორმულირებაში პოტენციური დამსაქმებლების ჩართვასთან, შრომის ბაზრის კვლევასთან და ამ პროცესში სტუდენტების ჩართვასთან დაკავშირებით. როგორც დარგის სპეციალისტებმა აღნიშნეს, წარმოდგენილი რეკომენდაციები უნივერსიტეტმა გამოიყენა განმავითარებელ მექანიზმებად და გაითვალისწინეს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. აქვე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განვითარებასა და ხარისხის ამაღლებას მოემსახურება გარე შეფასების ისეთი მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა: პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან გამოხმაურებები, მსგავსი პროგრამების უცხოელი პროფესორების წინადადებები და რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ პროგრამის გარე შემფასებლის დასკვნები; ○ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი N13 (02/3.12.2011); ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ კარგი იქნება, რომ პროგრამის ხარისხის ამაღლების მიზნებისთვის გარე შეფასების სხვა მექანიზმებიც იყოს გამოყენებული (პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან გამოხმაურებები, მსგავსი პროგრამების უცხოელი პროფესორების წინადადებები და რეკომენდაციები).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების შიდა მონიტორინგი და შეფასება. მის მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილება საგანმანათლებლო პროგრამის შიდა მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, რომლითაც დგინდება, რა შემთხვევაში, რომელი მეთოდით, პროგრამის რომელი ნაწილის, რომელ სამიზნე ნიშნულთან მიმართება უნდა დაექვემდებაროს მონიტორინგს და შეფასდეს. გეგმა ასახავს მონაცემებთა პერიოდულობას, მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელ პირს, მონაცემთა წყაროს. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის მონიტორინგის პროცესს კურირებს ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომელიც, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალთან ერთად, გეგმავს ამ პროცესს, აწესებს მონიტორინგის პერიოდულობას, არჩევს შეფასების შესატყვის მეთოდებსა და ტექნიკას. ამასთან, გეგმა მოიცავს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას, კვლევის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მეთოდების დადგენას, ინფორმაციის შეგროვებას, პარტნიორი უნივერსი-ტეტების ანალოგ პროგრამებთან დადარებას და სხვ. მონაცემების შეგროვების მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება შეფასების შემდეგი საშუალებები: ✓ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; ✓ სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასება; ✓ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; ✓ დამსაქმებელთა გამოკითხვა; ✓ სტუდენტთა ინტერვიუები და სხვა. შესწავლილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა სამიზნე ნიშნულებისგან ოდნავი აცდენა. დადგინდა, რომ ეს საკითხი სათანადო რეაგირებას მოითხოვს (იხ. პირველი სტანდარტი). გარდა ამისა, წარმოდგენილი გეგმის ფარგლებში ივსება მონიტორინგის ანგარიში, რომელსაც განიხილავს როგორც პროგრამის კომიტეტი, ისე დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კომიტეტი ერთობლივ სხდომაზე, ანალიზისა და შეფასების შედეგად კი შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებისთვის. პროგრამის კორექტირების მიზნით მოქმედებს პროგრამის კომიტეტი, რომლის მოვა-ლეობაა, უზრუნველყოს შემუშავებული რეკომენდაციები. მიღებული შედეგები აისახება მომდევნო წლის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშში. სწავლის შედეგების მონიტორინგის ციკლი ამ პროგრამისთვის არის სამი წელი. ამ დროის ფარგლებში ფასდება სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით პროგრამის განხორციელების ყოველწლიური შეფასებები და პროგრამის ეფექტიანობა. თუ პროგრამა არ ვითარდება, ანუ არ შეინიშნება პროგრესი, ეს საკითხი განიხილება, ანალიზის შედეგად კი აკადემიური კომიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას პროგრამის შეჩერების, გაუქმების ან სხვა ორგანიზაციული ღონისძიების გატარების თაობაზე. გეგმაზე დაყრდნობით, უნივერსიტეტი იკვლევს, თუ როგორია პროგრამის

განახორციელებელი აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების ხარისხი, როგორ აფასებენ სტუდენტები სასწავლო კურსებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ გასაძლიერებელია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში დაშვების წინაპირობის სათანადოდ განსაზღვრასა და სავალდებულო ლიტერატურის უახლესი ნაშრომებით განახლებაზე მონიტორინგი (იხ. 2.3 კომპონენტი). ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბათუმის წარმომადგენლობაში დარგის შესატყვისი აკადემიური პერსონალის მოზიდვის (4.1. კომპონენტი), სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტთა ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა (იხ. 3.1 კომპონენტი).

ასევე, ტარდება ლექტორთა მიერ სასწავლო დისციპლინების თვითშეფასება, ხორციელდება ანალოგ უცხოურ და ეროვნულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით. უნივერსიტეტმა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შეადარა ორ უცხოურ ანალოგიურ პროგრამას, კერძოდ, ნიქოზის უნივერსიტეტის (კვიპროსი) ტურიზმის, დასვენებისა და ღონისძიებების მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას, ასევე, კრემსის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის (ავსტრია) ტურიზმისა და დასვენების საბაკალავრო პროგრამას. შევსებული ფორმულარების მიხედვით, ჩანს ამ პროგრამებს შორის მსგავსება-განსხვავებები. ამასთან, შედარების მიზნებისთვის უნივერსიტეტმა ეროვნული ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამოიყენა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა. უდავოდ მისასალმებელია, ანალოგი პროგრამების დადარების მექანიზმის მოქმედება, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ფორმებმა უფრო მეტად ასახოს პროგრამების დადარების შინაარსობრივი მხარე, შედარების შედეგები ამა თუ იმ საკითხზე ცვლილებების შეტანისა თუ პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებით. მაგალითად, 2021 წლის სტუდენტთა გამოკითხვებით ფიქსირდება, რომ დიდი უმეტესობა პრაქტიკული კომპონენტის გაზრდას მოითხოვს (იხ. 5.1 კომპონენტი), ხოლო ერთ-ერთ უცხოურ პროგრამასთან შედარებამ აჩვენა, რომ უცხოურ ანალოგიურ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტებს, რითაც ნაწილობრივ შეესაბამება წარმოდგენილი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა. შესაბამისად, მათ შორის გამოიკვეთა თანმხვედრი პოზიცია, რაც სათანადო გათვალისწინებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში პროგრამის მონიტორინგიც უფრო მეტად ეფექტიანი იქნება.

როგორც ჩანს, კმაყოფილების კვლევისა და საჭიროებების დადგენის შემდეგ მნიშვნელოვანია, რომ განსაზღვრული პერიოდულობით წარმოებდეს კვლევებზე რეაგირების ანგარიშები (ოქმები), რაც სათანადო ყურადღებას მოითხოვს. ასევე, გასაძლიერებელია ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის მეტად ჩართვა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში (დაწვრილებით იხ. 5.2 კომპონენტი).

ამდენად, დადგინდა, რომ მონიტორინგი უნდა გაძლიერდეს, განსაკუთრებით ბათუმის წარმომადგენლობის მიმართ, რათა დაინტერესებულ პირთა საჭიროებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ უფრო ზუსტი სურათი შეიქმნას, მიღებული მონაცემები კი სათანადოდ გაანალიზდეს და შედეგები გამოყენებულ იქნეს ეფექტიანად

პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების გეგმა; ○ უცხოურ და ეროვნულ ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი; ○ პროგრამის მონიტორინგის მექანიზმები; ○ პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიში; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ○ კმაყოფილების კვლევები; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ მემორანდუმები; ○ პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია; ○ სამიზნე ნიშნულები; ○ სწავლის შედეგები; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგი, განსაკუთრებით ბათუმის წარმომადგენლობის დაინტერესებულ პირთა საჭიროებების დადგენის, მიღებული მონაცემების სათანადო ანალიზის, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში ლიტერატურის განახლების, ბათუმის წარმომადგენლობაში აკადემიური პერსონალის მოზიდვის, რამდენიმე საკითხზე (მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე) სტუდენტთა ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდის, მემორანდუმების სათანადო პირობების დაცვით დადებისა და სხვა სასწავლო ნაწილების მიმართულებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ფორმებმა უფრო მეტად ასახოს პროგრამების დადარების შინაარსობრივი მხარე, შედარების შედეგები ამა თუ იმ საკითხზე ცვლილებების შეტანისა თუ პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ტურიზმი, მეექვსე საფეხური, ბაკალარიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა:46 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ეკა ლეკაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის ხელმოწერა

ეკა დევიძე



მიხეილ ბიჭია

მარიამ ალექსიძე